პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის
სამინისტროსა და პროფკავშირთა საქართველოს
რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО
Орган Министерства здравоохранения ГССР
и Грузинского Республиканского Совета
профсоюзов

გამოცემის მე-10 წელი

№ 30 (732) | ოთხშაბათი, 14 აპრილი, 1954 წ. | ფასი 30 კაპ.

ვამრავლოთ თანრიგოსანთა რიგები

საბჭოთა ქვეყნის ბედნიერი ახალგაზრდობის ფიზიკური გაკაჟებისათვის დიდად ზრუნავს ჩვენი სამშობლო. ახალგაზრდობის განკარგულებაშია კეთილმოწყობილი სპორტული ბაზების ფართო ქსელი — სტადიონები, საცურაო აუზები, კორტები, სტენდები.

ახალი წლიდან სამნახევარი თვე გავიდა, ამ ხნის განმავლობაში საბჭოთა სპორტსმენებმა მრავალი ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერეს მშობლიური სპორტის ისტორიაში. მოპოვებულ იქნა მსოფლიო პირველობა ჰოკეიში, ციგურებში, თხილამურებში, საბჭოთა ძალოსნებმა დაამყარეს ახალი მსოფლიო რეკორდები.

საბჭოთა სპორტის აღმავლობის საქმეში თავიანთი წვლილი შეიტანეს ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებმა. ჭიდაობა სამბოში საქართველოს გუნდმა საბჭოთა კავშირში უძლიერესის სახელი მოიპოვა, ხოლო ე. ქარქუსაშვილი და ო. შინჯიკაშვილი სსრ კავშირის ჩემპიონები გახდნენ. ქების ღირსნი არიან აგრეთვე რესპუბლიკის კალათბურთელი გოგონებისა და ჭაბუკების გუნდები, რომლებმაც ქალაქების შეჯიბრებაზე დიდ წარმატებას მიაღწიეს. საკავშირო პირველობაზე კრივში 19 წლის პირველთანრიგოსანმა დ. ანდღულაძემ, გამოავლინა რა სპორტის ამ სახეობის მაღალი ტექნიკა, მეორე ადგილი დაიკავა და სპორტის ოსტატის ნორმა შეასრულა. ამ შეჯიბრებაზე მეორე ადგილზე გამოვიდა აგრეთვე გ. დარბაისელი.

ახალგაზრდების სპორტული ოსტატობის სისტემატური ამაღლება ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციების მუშაობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან უბანს წარმოადგენს. სპორტის სხვადასხვა სახეობის სექციების ნაყოფიერი საქმიანობა, ორგანიზებულად მოწყობილი შეჯიბრება, ნიჭიერი სპორტსმენის, თანრიგოსნის გამოვლინების მთავარი პირობაა. ამიტომ მთელი გულისყურით უნდა მოვეკიდოთ ყოველი სპორტული შეჯიბრების მოწყობისა და ჩატარების საქმეს.

თანრიგოსნების გამოვლინების საქმეში გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულონ მწვრთნელებმა, რომელთა ნაყოფიერ მუშაობაზე დიდად არის დამოკიდებული ახალგაზრდა სპორტსმენის აღზრდა. საქართველოში საკმაო რაოდენობითაა კარგი მწვრთნელები. მათი კეთილსინდისიერი საქმიანობით ახალგაზრდა სპორტსმენები სხვადასხვა შეჯიბრებაში ასრულებენ თანრიგოსნის ნორმებს, დგებიან დაოსტატების გზაზე, შეჯიბრებიდან შეჯიბრებამდე იმაღლებენ სპორტტექნიკურ მაჩვენებლებს. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვხვდებით ისეთ მწვრთნელებს, რომლებიც გატაცებული არიან შეთავსებით ბევრ ადგილზე მუშაობით. ისინი ჩემოდნით ხელში ერთი საზოგადოებიდან მეორეში გარბიან, ხელს კიდებენ ახალგაზრდა სპორტსმენთა დიდი რაოდენობის წვრთნას. რასაკვირველია, ასეთი მწვრთნელის საქმიანობა ნაკლებნაყოფიერია — მათი აღზრდილები შეჯიბრებებზე სუსტ შედეგებს აღწევენ.

სპორტულ შეჯიბრებათა 1954 წლის რესპუბლიკურ კალენდარულ გეგმაში შეტანილია მრავალი საინტერესო მასობრივი ღონისძიება, რომელთა ორგანიზებულად ჩატარება საშუალებას მოგვცემს გამოვავლინოთ თანრიგოსანთა დიდი რაოდენობა. ამისათვის კი საჭიროა გამოვაცოცხლოთ სექციების საქმიანობა, ნაყოფიერად მოვემზადოთ შეჯიბრებისათვის, უნარიანად დავაკომპლექტოთ გუნდები, მონაწილეებს შევუქმნათ თავიანთი შესაძლებლობის მაქსიმალურად გამოვლინების საშუალება.

სპორტული ღონისძიების ჩატარება, თანრიგოსანთა, ნიშნოსანთა გამოვლინება, სპორტულ მუშაობაში წარმატების მოპოვება შეუძლებელია კეთილმოწყობილი სპორტული ბაზის გარეშე. მიმდინარე წელს კარგი ინიციატივა წამოიწყეს ლანჩხუთის რაიონის ახალგაზრდებმა. მათ ითავეს სპორტული ბაზების მშენებლობის ერთთვიური, რომელიც ამჟამად წარმატებით მიმდინარეობს. ლანჩხუთელთა ინიციატივამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა ჩვენს რესპუბლიკაში. ახალი ძალით გაჩაღდა სპორტული ბაზების მშენებლობისა და არსებულის კეთილმოწყობა. მაგრამ ასე როდია ყველგან. წულუკიძის რაიონში სპორტული ბაზების დიდ ნაკლებობას განიცდიან. მთელ რიგ კოლმეურნეობებში და სკოლებში ძირეული კოლექტივები მხოლოდ ქაღალდზე არსებობენ. წულუკიძელმა ამხანაგებმა საჭირო დასკვნები უნდა გააკეთონ, დარაზმონ რაიონის ახალგაზრდები და ენერგიულად მოჰკიდონ ხელი ბაზების მშენებლობას.

გასული წლის სპორტულ სეზონში ერთგვარი წარმატებები იქნა მოპოვებული თანრიგოსნების მომზადების საქმეში, მაგრამ ამ წარმატებას თან ახლდა მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები. ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს, გატაცებული იყვნენ რა გეგმების საერთო შესრულებით, მხედველობიდან გამორჩათ თანრიგოსნების მომზადება. რესპუბლიკის დედაქალაქში ყველა პირობაა შექმნილი თანრიგოსნების მომზადებისათვის, მაგრამ გასული წლის სეზონში თბილისში არც ერთი პირველთანრიგოსანი არ მომზადებულა ალპინიზმში, წყალბურთში, ცურვაში, სროლასა და ტურიზმში.

ახალი სპორტული სეზონი ძალაში შევიდა. რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სტადიონებზე, სპორტულ მოედნებზე ტარდება მრავალი საინტერესო ღონისძიება. ჩვენი ვალია მაქსიმალურად გამოვიყენოთ ყველა მასშტაბის შეჯიბრება ნიჭიერი, კარგი მომავლის მქონე ახალგაზრდობის, თანრიგოსნების გამოვლინებისათვის, რესპუბლიკაში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის ახალი აღმავლობისათვის.

სტუდენტთა საერთაშორისო ტურნირი

ოსლოში დაიწყო სტუდენტთა მესამე საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი, რომელიც მოაწყო სტუდენტთა საერთაშორისო საბჭომ და ნორვეგიის საჭადრაკო ფედერაციამ.

შეჯიბრებაში მონაწილეობისათვის მოსკოვიდან ოსლოს ჩავიდნენ საბჭოთა სტუდენტები, სპორტის ოსტატები: ვ. კორჩნოი, ო. მოისეევი, ნ. კროგიუსი, ა. ნიკიტინი და ვ. ანტოშინი. გუნდის მწვრთნელია საერთაშორისო ოსტატი ა. კონსტანტინოპოლსკი.

სურათზე: თბილისის ავტოშემკეთებელი ქარხნის კომკავშირელი სპორტსმენები, რომლებმაც სურვილი გამოთქვეს წავიდნენ საქართველოს ჰიდროელსადგურის მშენებლობაზე: (მარცხნიდან მარჯვნივ) ნ. ერაძე, ა. სივცოვი, ა. ზოტოვი და ა. შუკინი.

ეხმაურებიან თბილისელთა ინიციატივას

კომკავშირის სოხუმის საქალაქო კომიტეტის მდივნის კაბინეტის შესასვლელთან ახალგაზრდებს მოეყარათ თავი. ისინი განცხადებებით ხელში მდივანთან შევიდნენ.

— ჩვენში უდიდესი სიხარული გამოიწვია სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ახალგაზრდობის ინიციატივამ საქართველოში ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაზე წასვლის შესახებ. მე, როგორც კომკავშირელს, სურვილი მაქვს პირადად მივიღო მონაწილეობა რესპუბლიკის ელექტროსადგურების აგებაში — მიმართა კომკავშირის საქალაქო კომიტეტის მდივანს ნ. ბოკუჩავას სერგო ორჯონიკიძის სახელობის სოხუმის ტყავფეხსაცმლის კომბინატის მოწინავე ზეინკალმა, პირველთანრიგოსანმა ბ. ფილატოვმა.

უდიდესი პატრიოტული გრძნობით იყო დაწერილი აგრეთვე საამშენებლო ობიექტის ახალგაზრდა მუშებისა და საუკეთესო ფიზკულტურელების მ. ფირცხალავას, ჟ. ბუაძის, ლ. გოგონაიას და სხვათა განცხადებები.

საბჭოთა მოჭადრაკეები ურუგვაიში

საბჭოთა მოჭადრაკეების ურუგვაიში ჩასვლამ სპორტული საზოგადოებრიობის ფართო ინტერესი გამოიწვია. გარდა იმისა, რომ საბჭოთა გროსმაისტერები შეხვდნენ ურუგვაის მოჭადრაკეებს, მათ ჩაატარეს აგრეთვე ერთდროული თამაშების სეანსები. ურუგვაი-საბჭოთა კავშირის კულტურის კავშირის ინსტიტუტში ს. ფლორმა ჩაატარა სეანსი 32 დაფაზე. მან მოიგო 31 პარტია და ერთი ყაიმით დაამთავრა. სეანსები მოეწყო აგრეთვე პ. კერესის, ა. კოტოვის, ე. გელერისა და ა. ტოლუშის მონაწილეობით 80 ურუგვაელი მოჭადრაკის წინააღმდეგ. სეანსორებმა მოიგეს 76 პარტია, სამი წააგეს და ერთი ყაიმით დაამთავრეს.

ურუგვაის საჭადრაკო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ულისეს ანაიამ განაცხადა, რომ საბჭოთა მოჭადრაკეების სტუმრობა ურუგვაიში უდიდესი მოვლენაა ნაციონალური საჭადრაკო ფედერაციის ცხოვრებაში.

— ჩვენს ქვეყანაში, — განაცხადა ანაიამ, — არასდროს არ ჩამოსულა მსოფლიოში სახელგანთქმულ მოჭადრაკეთა ასეთი ჯგუფი.

ხ. ხანუკაშვილისა და რ. ჩიმიშკიანის მსოფლიო რეკორდები

საბჭოთა ძალოსნები [illegible] გამოსვლებს ეგვიპტეში. ამ დღეებში ქ. ალექსანდრიაში ისინი შეხვდნენ ეგვიპტის უძლიერეს ძალოსნებს და ყველა წონით კატეგორიაში გამარჯვება მოიპოვეს.

ბრწყინვალე წარმატებას მიაღწია თბილისელმა დინამოელმა რ. ჩიმიშკიანმა, რომელმაც ქვემსუბუქ წონაში დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი. მისი შედეგი სამჭიდის ჯამში უდრის 342,5 კილოგრამს.

• • •

ხარკოვში მიმდინარეობდა სპორტული საზოგადოება „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობა სიმძიმეთა აწევაში. ამ შეჯიბრებაზე ქვემსუბუქი წონის ძალოსანმა სპორტის ოსტატმა ხ. ხანუკაშვილმა (თბილისი) დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი. მან აჭიმა 107 კილოგრამი და 250 გრამი. ხანუკაშვილმა მოიპოვა აგრეთვე საზოგადოება „დინამოს“ ჩემპიონის სახელი.

კორეელ სპორტსმენთა ამხანაგური შეხვედრები

რამდენიმე ამხანაგური შეხვედრის ჩასატარებლად სსრ კავშირში ჩამოვიდნენ კორეელი კალათბურთელები. პირველი თამაში მოეწყო ლენინგრადში, სადაც სტუმრები შეხვდნენ ადგილობრივ გუნდებს. კორეის ქალთა გუნდისათვის ეს იყო პირველი საერთაშორისო მატჩი. თამაში დამთავრდა ანგარიშით 62:32 ლენინგრადელთა გამარჯვებით.

საინტერესო გამოდგა ვაჟთა გუნდების თამაში. ორივე კოლექტივმა კალათბურთის თამაშის კარგი ტექნიკა და ტაქტიკა აჩვენა. შეხვედრა დამთავრდა საბჭოთა კალათბურთელების გამარჯვებით — 70:57.

ლენინგრადის შემდეგ კორეელი სპორტსმენები ესტონეთში გაემგზავრნენ, სადაც ისინი შეხვდნენ ტალინელ სპორტსმენებს. ქალთა გუნდების შეხვედრა დამთავრდა ესტონელთა გამარჯვებით—58:25, ვაჟთა გუნდებშიც გამარჯვება მასპინძლებმა მოიპოვეს — 67:44.

სოფლის ძალოსანთა საკავშირო შეჯიბრება

ორიოლში ი. ს. ტურგენევის სახელობის დრამატული თეატრის შენობაში დამთავრდა სოფლის ძალოსანთა საკავშირო შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობდნენ რსფსრ-ს, უკრაინის, ბელორუსიის, ყაზახეთის, საქართველოს, აზერბაიჯანის, ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის, მოლდავეთისა და სომხეთის გუნდები. თავიდანვე დაწინაურდა უკრაინის გუნდი, რომელმაც პირველი ადგილი გათამაშების ბოლომდე არავის დაუთმო.

მისაბაძი წამოწყება

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ინიციატივა

კარგი ტრადიციები აქვს კიროვის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტულ კლუბს. აქ აღიზარდნენ არამარტო რესპუბლიკაში, არამედ საბჭოთა კავშირის მასშტაბით ცნობილი სპორტსმენები. უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში საუკეთესო მწვრთნელების, სპორტის დამსახურებული ოსტატების — გ. ეგნატაშვილის, ლ. ძეკონსკის, ს. ოგანეზოვის, ოსტატების — დ. ახვლედიანის, გ. როსტიაშვილის, ე. სტეფანოვას, ს. ჯეჯელავას, მ. კეკელიძისა და სხვათა ხელმძღვანელობით აქ მრავალი ნიშნოსანი და თანრიგოსანი მომზადდა. მარტო გასულ წელს ფრენბურთსა და კალათბურთში წარმატებების მოპოვებისათვის ინსტიტუტის ცხრა სტუდენტს სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭა.

მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის შემდგომი განვითარების, ინსტიტუტში სტუდენტთა ფიზიკური აღზრდის უკეთ წარმართვისა და სტუდენტთა მეთორმეტე საერთაშორისო თამაშებში ფართო მასშტაბით მონაწილეობისათვის ინსტიტუტის დირექციამ, პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ფიზკულტურის კათედრასთან და სპორტულ კლუბთან ერთად წამოიწყეს ახალი, ყველასათვის მისაბაძი ინიციატივა—გადაწყვიტეს 1954 წლის პირველი იანვრიდან 1955 წლის პირველ იანვრამდე ჩაატარონ ფაკულტეტების ფიზკულტურული კოლექტივების კონკურს-დათვალიერება.

კონკურს-დათვალიერებაში გამარჯვებული იქნება ის ფაკულტეტი, ვინც უკეთეს შედეგებს მოიპოვებს ინსტიტუტის მეოთხე სპარტაკიადაში, სასწავლო-სპორტულ მუშაობაში (ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების მომზადება), მასობრივ-სპორტულ მუშაობაში (შიდასაფაკულტეტო ღონისძიებები), ორგანიზაციულ მუშაობაში (კლუბის წევრთა რაოდენობის ზრდა, საწევრო ანარიცხების აკრეფა, თვალსაჩინო აგიტაციის უკეთ წარმართვა) და აქტივთან მუშაობაში (აკადემიური ჯგუფის ფიზორგების, მსაჯების მომზადება).

ჟიური წელიწადში ორჯერ 20-25 ივნისსა და 20-25 დეკემბერში განიხილავს კონკურსის შედეგებს.

ᲐᲦᲖᲐᲠᲓᲝᲗ ᲝᲡᲢᲐᲢᲗᲐ ᲦᲘᲠᲡᲔᲣᲚᲘ ᲪᲕᲚᲐ

ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲗ

სექციაში მომეცადინე ბავშვთა სწორი ფიზიკური აღზრდა ბევრადაა დამოკიდებული მწვრთნელის ცოდნასა და უნარზე, საქმისადმი სიყვარულზე. პიონერული ასაკის ბავშვებთან მუშაობისას მწვრთნელი ვალდებულია განსაკუთრებით ერთგულად ეკიდებოდეს დაკისრებულ მოვალეობას, ითვალისწინებდეს აღსაზრდელების ასაკს, აკადემიურ მოსწრებასა და ჯანმრთელობას.

ეს მხედველობიდან არ რჩებათ თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ფიზიკური კულტურისა და ტურისტულ-საექსკურსიო განყოფილების მწვრთნელებს და განსაკუთრებით ტანვარჯიშის სექციის ხელმძღვანელებს.

სასახლის სპორტულ სექციებში თბილისის 88 სკოლის ათასზე მეტი მოსწავლეა გაერთიანებული. მარტო ტანვარჯიშის სექციაში ჩაბმულია პიონერული ასაკის 217 მოსწავლე.

სექციაში ბავშვთა ჩარიცხვა ჩვენთან განსაკუთრებული წესით ხდება: აღსაზრდელს, რომელმაც სურვილი გამოთქვა დაეუფლოს, მაგალითად ტანვარჯიშს, წინასწარ ვატარებთ საექიმო კომისიაში, ვეცნობით მის აკადემიურ მოსწრებას და მხოლოდ ამის შემდეგ ჩავრიცხავთ სექციაში.

ყოველი მეოთხედის ბოლოს სექციის წევრი ვალდებულია სასახლეში წარმოადგინოს აკადემიური მოსწრების ფურცელი. მოსწავლეს, აკადემიური მოსწრების გაუარესების შემთხვევაში, დროებით ვაწყვეტინებთ წვრთნას, ვეხმარებით ცუდი ნიშნების გამოსწორებაში.

გვქონდა ასეთი შემთხვევა: ქალთა I საშუალო სკოლის მოსწავლემ ლამარა კავთიაშვილმა, რომელიც ფიზიკურად სუსტი იყო, 1951 წელს კალათბურთის სექციაში მუშაობის სურვილი განაცხადა, მაგრამ საექიმო კომისიამ ნება არ დართო. მაშინ იგი ჩავრიცხეთ ტანვარჯიშის სექციაში და მწვრთნელთა გულისხმიერმა, ნაყოფიერმა მუშაობამ ლამარა კავთიაშვილი სავსებით გამოაჯანმრთელა. მან მოიპოვა III თანრიგი და მეორე თანრიგისათვის ემზადება. ასევე ითქმის ნათელა გაჩეჩილაძის (ქალთა 25-ე სკოლა) და სხვათა შესახებ.

სექციის ყოველ ხელმძღვანელს მჭიდრო კავშირი აქვს ბავშვის მშობლებთანაც. ხშირად დავდივართ ბავშვებთან სახლში, ვსწავლობთ მათ ოჯახურ მდგომარეობას, მშობლების დამოკიდებულებას სპორტისადმი.

სექციაში მეცადინეობით ბავშვთა დაინტერესება იმითაც იზრდება, რომ ხშირად მათ მიერ ჩატარებულ საჩვენებელ გამოსვლებზე ვიწვევთ მშობლებს, სხვადასხვა სკოლის მოსწავლეებს, ვაწყობთ ნორჩ ფიზკულტურელთა შეხვედრებს გამოჩენილ სპორტსმენებთან.

ამჟამად სასახლის ტანვარჯიშის სექციებს ხელმძღვანელობენ მწვრთნელები ვ. ლაზარევა, გ. ბურჯანაძე, ე. ლორთქიფანიძე, თ. წიგნაძე, ტ. ბახტაძე და სხვ. ისინი ნამდვილი საბჭოთა პედაგოგები არიან. მათი ნაყოფიერი მუშაობით აქ უკვე მრავალი თანრიგოსანი აღიზარდა. მათ შორის ნ. ვეკუამ გასულ წელს მოსწავლეთა რესპუბლიკურ შეჯიბრებაში II თანრიგში I ადგილი დაიკავა, ხოლო წელს დედაქალაქის მოსწავლეთა ასპარეზობაში I თანრიგში — III ადგილი. ნ. კილაძე კალინინის რაიონის 1952–53 წლების ჩემპიონია.

პიონერთა სასახლის ტანვარჯიშის სექციის ყველა მწვრთნელი უფრო ენერგიულად ვიმუშავებთ და მივცემთ ბავშვებს იმის საფუძველს, რომ მათ შეასრულონ სათანრიგო ნორმები და აიმაღლონ სპორტული დონე.

ნ. ᲛᲐᲮᲕᲘᲚᲐᲫᲔ

Ჩ Ე Მ Ი Მ Ი Ზ Ა Ნ Ი

პატარაობიდანვე მიტაცებდა სპორტი. ბაკურიანის მინდვრებზე თანატოლებთან ერთად დილიდან საღამომდე ვთამაშობდი ფეხბურთს, ხოლო მას შემდეგ რაც ბაკურიანში მასობრივად დაინერგა სათხილამურო სპორტი, მთელი არსებით შევიყვარდა ეს სახეობა.

ხშირად ვმონაწილეობდი სასკოლო და სარაიონო პირველობის გათამაშებებში. როცა წამოვიზარდე, ჩემი გვარი რესპუბლიკური მასშტაბის ღონისძიებებში მონაწილეთა შორისაც გამოჩნდა.

კარგა ხანია რაც ბაკურიანის კოლმეურნეობაში ავტომძღოლად ვმუშაობ, მაგრამ ეს არ მიშლის ხელს ავიმაღლო ჩემი ტექნიკური მომზადების დონე სათხილამურო სპორტში. ამჟამად მეორეთანრიგოსანი ვარ. გასულ წელს 5, 10 და 30 კილომეტრზე რბენაში მოვიპოვე გამარჯვება. მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი არ დავკმაყოფილდე მიღწეულით და სხვებთან ერთად მალე პირველთანრიგოსანთა რიგებში ჩავდგე.

ვ. ᲛᲘᲥᲐᲑᲔᲠᲘᲫᲔ

ლელო

№ 30 (732)

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ზევით—მესამეთანრიგოსნები ს. ჯანველაძე (29-ე სკოლა), გ. ფაროლდი (მე-15 სკოლა) და ნ. სესაძე (32-ე სკოლა) ვარჯიშობენ მოკლე მანძილზე რბენაში. შუაში—პირველთანრიგოსანი მაგიდის ჩოგბურთელი დ. სუარესი თავის დაზგასთან. ქვევით — ე. ბერიევი სპორტულ თასზე მუშაობისას.

ფოტოები **დ. იაკობაშვილისა**

ᲧᲕᲔᲚᲐ ᲗᲐᲜᲠᲘᲒᲝᲡᲐᲜᲘ ᲒᲐᲕᲮᲓᲔᲑᲘᲗ

„ფაბრიკის ყველა თანამშრომელი — გავხადოთ „კრასნოე ზნამიას“ წევრი, ხოლო ყველა წევრი — თანრიგოსანი!“ — ამ ლოზუნგით მუშაობს თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის ძირეული ფიზკულტურული კოლექტივი და მისი საბჭო. ამ მიზნის განსახორციელებლად აქ უკვე ყველა პირობა შექმნეს დირექციის, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების დახმარებით.

მართლაც, ფაბრიკის მთელი კოლექტივი საწარმოო გეგმების გადაჭარბებით შესრულებასთან ერთად ენერგიულად იბრძვის ნიშნოსანთა და თანრიგოსანთა მომზადების სახელმწიფო გეგმების შესასრულებლად.

მარტო გასულ წელს ფაბრიკის ფიზკულტურულმა კოლექტივმა 27 სხვადასხვა შეჯიბრებაში მიიღო მონაწილეობა და შვიდი პირველი ადგილი მოიპოვა.

ამით როდი კმაყოფილდებიან ისინი. თანრიგოსანთა გამოსავლინებლად აქ ხშირად ეწყობა შიდასაკოლექტივო შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში. გასულ წელს ჩატარდა კომბინატის პირველი სპარტაკიადა.

ენერგიული მუშაობის შედეგად გადაჭარბებით შეასრულეს ნიშნოსანთა და თანრიგოსანთა მომზადების გასული წლის გეგმა. 3 პირველთანრიგოსანი სპორტსმენის ნაცვლად მომზადდა 4, 7 მეორეთანრიგოსნის ნაცვლად — 16, 26 მესამეთანრიგოსნის ნაცვლად — 64. ეს ციფრები ნათლად მეტყველებენ ფიზკულტურული კოლექტივის ნაყოფიერ მუშაობაზე.

— ამჟამად კომბინატში 194 თანრიგოსანი გვყავს. მათ შორის 12 პირველთანრიგოსანი და 30 მეორეთანრიგოსანია! — გვითხრა ფიზკულტურის ინსტრუქტორმა ბ. კოვალმა — თანრიგოსანთა შორის საზოგადოებისა და რესპუბლიკის ჩემპიონებიც არიან.

აქაური ფიზკულტურელები სისტემატურ წვრთნას გადიან თანრიგის ასამაღლებლად. ისინი შრომაშიც მოწინავენი არიან. მათმა საწარმოო მაჩვენებლებმა განსაკუთრებით მას შემდეგ იმატა, რაც ახალგაზრდებმა სპორტულ სექციებში მეცადინეობა დაიწყეს და თანრიგი მოიპოვეს. მაგალითად, ზეინკლები პირველთანრიგოსანი სპორტსმენები ო. ალარმა და ქ. გუტმანი ყოველთვიურ დავალებას 150-180 პროცენტით ასრულებენ, მესამეთანრიგოსანი სპორტსმენი მქსოველი თ. პოდალევა — 130 პროცენტით, რ. ბურჭულაძე — 140 პროცენტით.

კომბინატში ყველა კარგად იცნობს ქალის წინდების მქსოველთა იმ ბრიგადას, სადაც ე. კრუშევიჩი, გ. მოლოჟავი და დ. სუარესი მუშაობენ. სამივე თანრიგოსანია. კრუშევიჩი I თანრიგოსანია მაგიდის ჩოგბურთში, სუარესი — აკრობატიკასა და მაგიდის ჩოგბურთში, ხოლო მოლოჟავი—მეორეთანრიგოსანი მსროლელია. მათ დაზგასთან მოწინავე ბრიგადის გარდამავალი ალამი ფრიალებს.

მდიდარია კომბინატის წლევანდელ სპორტულ ღონისძიებათა კალენდარი. განზრახული აქვთ ჩაატარონ შიდასაკოლექტივო შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში, აქტიური მონაწილეობა მიიღონ რესპუბლიკურ საბჭოსა და რესპუბლიკურ ღონისძიებებში. უკვე მოიპოვეს პირველი წარმატება, „კრასნოე ზნამიას“ მაგიდის ჩოგბურთელთა რესპუბლიკურ პირველობაში ჩემპიონები გახდნენ კომბინატის სპორტსმენები ნ. ბონდარენკო და ქ. გუტმანი.

შემდგომ წარმატებათა მოსაპოვებლად, თანრიგოსანთა რიგების გასაზრდელად რეგულარულად მუშაობენ სექციები. თვითეული სპორტსმენი ენერგიულად იბრძვის, რათა აიმაღლოს თანრიგი, ხელი შეუწყოს კომბინატის ფიზკულტურული კოლექტივის განმტკიცებას.

ო. ᲘᲕᲓᲝᲨᲕᲘᲚᲘ

Ე Ნ Ე Რ Გ Ი Უ Ლ Ი Შ Რ Ო Მ Ი Ს Შ Ე Დ Ე Გ Ი

თბილისის ვაჟთა მე-10 სკოლის მოსწავლე ედუარდ ბერიევი იმდენად გაიტაცა მხატვრობამ, რომ მეცხრე კლასიდან გამოსულმა სწავლა განაგრძო დედაქალაქის მე-11 სამხატვრო-სახელოსნო სასწავლებელში.

— რა უფრო გაინტერესებთ ქანდაკება, ძერწვა, წითელ ხეზე მუშაობა, ქვაზე მხატვრული ჭრა თუ ფერწერა? — ჰკითხა სასწავლებლის დირექტორმა ედუარდს.

აქ მოსვლამდე მას გადაწყვეტილი ჰქონდა ფერწერას დაუფლებოდა, მაგრამ სასწავლებელში მისი გადაწყვეტილება შეიცვალა და...

— ძერწვა უფრო მაინტერესებს.

— მხნედ მიუგო დირექტორს.

...ახალი ცხოვრება დაიწყო ედუარდისათვის. — იგი ეუფლებოდა მძერწავის ხაპატიო პროფესიას. მალე სასწავლებელში ცნობილი გახდა, არა მარტო როგორც სწავლის წარჩინებული, არამედ როგორც საუკეთესო სპორტსმენიც.

ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის ა. იაცკევიჩის ხელმძღვანელობით დაუღალავმა მუშაობამ მალე კარგი შედეგიც გამოიღო, — შიდასაკოლექტივო შეჯიბრებაზე სიმაღლეზე ხტომაში ყველას აჯობა. პირველმა გამარჯვებამ უფრო წაახალისა...

დრო გავიდა... ედუარდი მესამეთანრიგოსანი გახდა, ხოლო 1952-53 სასწავლო წლებში „შრომითი რეზერვების“ რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე ჩემპიონობა მოიპოვა სიმაღლეზე ხტომასა და თარჯრბენში. როგორც საუკეთესო მძლეოსანი, მიმდინარე წლის იანვარში სხვებთან ერთად იგი წარგზავნეს ლენინგრადში „შრომითი რეზერვების“ ცენტრალური საბჭოს პირველობაზე.

არც აქ შეურცხვენია თავი სახელოსნო სასწავლებლის საუკეთესო მძერწავსა და სპორტსმენს: სიმაღლეზე ხტომაში ცენტრალური საბჭოს ჩემპიონობა მოიპოვა და მეორეთანრიგოსნის ნორმა შეასრულა.

— მალე პირველთანრიგოსანი გავხდები! — გვიპასუხა მან, როცა შევეკითხეთ, თუ რას აპირებდა მომავლისათვის.

ედუარდის სპორტით დაინტერესება კარგად იგრძნობა მის შემოქმედებაშიც. მან სპორტულ თემაზე გამოძერწა „გამარჯვება“, რომელიც ასახავს ალპინისტ ქალ-ვაჟის მიერ მწვერვალის დაპყრობას. ამჟამად მუშაობს სადიპლომო თემაზე — „სპორტული თასი“, რომელზეც ალბექდილი იქნება სპორტულ ასპარეზობათა სხვადასხვა მომენტი.

ედუარდს სპორტულ გამარჯვებაში ხელი შეუწყო სასწავლებლის მთელი ფიზკულტურული კოლექტივის ნაყოფიერმა მუშაობამ. ამჟამად თბილისის მე-11 სამხატვრო-სახელოსნო სასწავლებელში 200 მოსწავლიდან 6 პირველი, 14 მეორე, 47 მესამე და 81 ჭაბუკთა თანრიგის სპორტსმენია. მარტო გასულ წელს აქ 70 თანრიგოსანი მოამზადეს. სასწავლებლის აღსაზრდელები ა. შუკაკიძე, გ. იმერლიშვილი, ო. ბაციაშვილი, ა. ნაზაროვი, ა. ნადარეიშვილი, ბ. რაზმაძე, ლ. ფოფხაძე და სხვები თანრიგოსანი სპორტსმენები არიან. ბევრი მათგანი „შრომითი რეზერვების“ რესპუბლიკური და ცენტრალური საბჭოს ჩემპიონია. ა. შუკაკიძემ, რომელსაც ქართულ ჭიდაობაში I თანრიგი აქვს, გასულ წელს ჭიდაობა სამბოში ცენტრალური საბჭოს პირველობაზე მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა, გ. იმერლიშვილი მოსწავლეთა შორის რესპუბლიკის ჩემპიონია კლასიკურ ჭიდაობაში.

სასწავლებლის ფიზკულტურელები სწავლასთან ერთად ენერგიულად ეუფლებიან სპორტის სხვადასხვა სახეობას, იწრთობიან, იკაჟებენ სხეულს, რათა შემოქმედებითი ცხოვრების ასპარეზზე ჯანმრთელნი გამოვიდნენ, ჩადგნენ კომუნიზმის მშენებელთა მოწინავე რიგებში.

გ. ᲓᲐᲠᲩᲘᲐ,
ო. ᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲓᲐᲕᲔᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘ ᲗᲐᲜᲐᲢᲝᲚᲔᲑᲡ

სკოლაში ერთ-ერთი აქტიური ფიზკულტურელი ვიყავი. როცა მუშაობა თბილისის მექანიკურ ქარხანაში დავიწყე, განსაკუთრებით შემიყვარდა სროლა.

სამსახურიდან თავისუფალ დროს დაუღალავად ვმეცადინეობდი სროლის სექციაში, ვეუფლებოდი დამიზნებისა და სხვადასხვა მდგომარეობიდან სროლის რთულ ტექნიკას. როცა პირველი ტყვია გავისროლე ფარზე არავითარი კვალი არ დარჩენილა, მიზანს ასცდა. პირველმა მარცხმა გული როდი გამიტეხა, უფრო ენერგიულად მოვკიდე ხელი ვარჯიშს და მწვრთნელის დახმარებით შედეგიც სათანადო მივიღე.

გასულ წელს დოსააფის 26 კომისრის რაიონის პირველობაში მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სროლაში ვძლიე ყველა მოწინააღმდეგეს და პირველი ადგილი მოვიპოვე. ამ გამარჯვებითა და ქულათა საჭირო რაოდენობის დაგროვებით შევასრულე მესამე თანრიგის ნორმა.

ამჟამად ენერგიულად ვემზადები, რათა გავხდე მეორეთანრიგოსანი მსროლელი. ამავე დროს ვცდილობ ყოველმხრივ დავეხმარო ამხანაგებს.

ბ. ᲩᲔᲠᲔᲦᲜᲘᲙᲘ

ჭიდაობის ტაქტიკის საკითხისათვის

ჩვენმა, მსოფლიოში საუკეთესო მოჭიდავეებმა შექმნეს მოქნილი, მრავალფეროვანი ტაქტიკა, რომელიც დაფუძნებულია შესანიშნავ, ყოველმხრივ ფიზიკურ განვითარებაზე ჭიდაობის ტექნიკის ბრწყინვალე დაუფლებასა და შემოქმედებით სრულყოფაზე, მაღალ მორალურ მომზადებაზე. ეს მოწინავე ტექნიკა მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს უცხოელ სპორტსმენებთან სხვადასხვა შეჯიბრებაში ჩვენი მოჭიდავეების მიერ მოპოვებულ გამარჯვებებს.

მაგრამ ცნობილია ისიც, რომ მნიშვნელოვან წარმატებებთან ერთად ადგილი ჰქონდა აგრეთვე შემთხვევით წაგებებს XV ოლიმპიურ თამაშებში, მსოფლიო პირველობის გათამაშებაში და სხვა ასპარეზობებში. ჩემის აზრით ამ წაგებათა უმრავლესობის მიზეზია ჩვენი მოჭიდავეების მიერ დაშვებული ტაქტიკური შეცდომები.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ გამარჯვებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სწორი ტაქტიკის არჩევას. განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას და მასთან ერთად სირთულეს იძენს ტაქტიკა სპორტის იმ სახეობაში, სადაც ადგილი აქვს ორთაბრძოლას, მაგრამ დღემდე სწორედ ჭიდაობის ტაქტიკის შესახებ გვაქვს ჩვენი ნაშრომების, შენიშვნებისა და მითითებების მეტად მცირე რაოდენობა.

ჭიდაობის არსებულ სახელმძღვანელოებში ეს საკითხი ნაკლებადაა გაშუქებული, მისი ამოცანებიც კი არაა განსაზღვრული, ამიტომ ტაქტიკის შესახებ საუბარი მიზანშეწონილია დავიწყოთ სწორედ ამით.

ჭიდაობაში ტაქტიკის ამოცანას წარმოადგენს მოჭიდავის მიერ შეჯიბრების წესებით ნებადართული საშუალებებისა და ხერხების ფარგლებში ყველა თავის ფიზიკურ, ტექნიკურ და სხვა შესაძლებლობათა რაციონალური გამოყენება ყველა კონკრეტულ მოწინააღმდეგეზე და მთლიანად შეჯიბრებაში გამარჯვების მისაღწევად.

მაშასადამე, იმისათვის, რომ განვსაზღვროთ სწორი ტაქტიკა, აუცილებელია წარმოდგენა გვქონდეს კონკრეტულ მოწინააღმდეგეზე, გამორკვეულ უნდა იქნას მისი ფიზიკური, ტექნიკური, ტაქტიკური შესაძლებლობანი, მისი მორალური მომზადება. ამასთან აუცილებელია დავიმახსოვროთ, რომ ყველა ამ მაჩვენებლებს შეიძლება ჰქონდეს მეტ-ნაკლებად განსაზღვრული მნიშვნელობა, მოცემული შეჯიბრებისათვის ამ მოჭიდავის გაწვრთნილობის გათვალისწინებისას.

საკითხების გამორკვევა შეიძლება იმ პირებისაგან, რომლებმაც ნახეს მოცემული მოჭიდავე წინანდელ შეჯიბრებებში სხვა მოჭიდავეებთან შებმის პროცესში ამ მოჭიდავეზე თვალთვალით ან უშუალოდ მასთან შებმით. ამასთან აუცილებელია ყურადღება მიექცეს: ა) ჩვეულ დგომს, ბ) ჩვეულ ტაქტიკას, გ) ჭიდაობის ჩვეულ და შესაძლებელ ტემპს, დ) ფანდებს, რომლებიც მას განსაკუთრებით უყვარს ამ ფანდების ჩატარების მიმართულებას, მოვლებს, რომლის დახმარებით ეს ფანდები სრულდება; ე) ფანდებსა და მათი ჩატარების მიმართულებას, რომელთაგან მოწინააღმდეგე კარგად ვერ იცავს თავს.

ხელთ გვექნება რა ეს ცნობები, საჭიროა კარგად გავითვალისწინოთ საკუთარი ფიზიკური, ტექნიკური და სხვა შესაძლებლობანი, გაწვრთნილობა, ობიექტურად შევადაროთ ჩვენი მაჩვენებლები მოწინააღმდეგის ასეთსავე მაჩვენებლებთან. საკუთარი ძალების ან მოწინააღმდეგის ძალების შეუფასებლობა ან გადაფასება არ მოგვცემს საშუალებას ავაგოთ სწორი ტაქტიკა, რასაც დამარცხებამდე მივყავართ (ტერიანის ჭიდაობა ლიბანელ ტახასთან, სოლოვიოვის—ევროპის პირველობაზე, კარტოზიას—სსრ კავშირის 1953 წლის გუნდურ პირველობაზე, ბალავაძის — სსრ კავშირის 1953 წლის გუნდურ პირველობაზე თავისუფალ ჭიდაობაში და სხვ).

შეიქმნი რა ნათელ წარმოდგენას შესაძლებლობათა ურთიერთფარდობაზე, საჭიროა მომავალი შებმის გეგმა ააგო იმგვარად, რომ შეძლო, რაც შეიძლება უფრო სრულფასოვნად გამოიყენო შენი ძლიერი მხარეები და არ მისცე საშუალება მოწინააღმდეგეს, გააკეთოს იგივე. მაგალითად:

ა) გვაქვს რა უპირატესობა გამძლეობაში, შეხვედრა უნდა ჩაატარო ზღვრული ტემპით (ბასკაკოვი, სოლოვიოვი, მაისურაძე და სხვ), აიძულო მოწინააღმდეგე იჭიდაოს ისეთი ინტენსიობით, რაც აღემატება მის შესაძლებლობას;

ბ) იცი რა მოწინააღმდეგის გამორჩეული ძირითადი ფანდი, მოვლება, რომლის დახმარებით სრულდება ეს ფანდი და მისი შესრულების მიმართულება, ჭიდაობა ისეთ დგომში უნდა წარმართო, რომელიც არ მისცემს ამ ფანდის გამოყენების საშუალებას. (რუნგეს ჭიდაობა გაბარაევთან და მკრტჩიანის — ცალქალამანიძესთან სსრ კავშირის 1953 წლის გუნდურ პირველობაზე თავისუფალ ჭიდაობაში და სხვ.) და ამავე დროს უნდა ეცადო შექმნა შესაძლებლობა იერიშისათვის;

გ) იცი რა ნამდვილად ჩოქბჯენში შენი უპირატესობის შესახებ, ისე უნდა წარმართო ჭიდაობა, რომ პირველი ექვსი წუთი ყაიმით დამთავრდეს (ცანდელაკი, მარუშკინი, მაჩკალიანი და სხვ.) და შეხვედრა მოიგო ჩოქბჯენში;

დ) დაღალო მოწინააღმდეგე ერთ-ერთ ხელზე გამუდმებული ერთფეროვანი მოვლებით. ჩოქბჯენში გადასვლისას იერიში აწარმოო იმავე დაღლილი ხელის წინააღმდეგ, ჩაიჭირო იგი გასალებზე ან უკუგასალებზე და შემდეგ ერთ-ერთი ფანდით, რომელიც სრულდება ამ მოვლებით, მიაღწიო გამარჯვებას (პუსეპა; ლენცი, პური და სხვ.);

ე) იცი რა მოწინააღმდეგის საყვარელი ფანდი, უნდა შეიმუშაო და გამოიყენო კონტრფანდი და შებმა შენს სასარგებლოდ დაამთავრო (კოჟარსკი, კუხიანიძე, ტარასოვი და სხვ.);

ვ) იცი რა რომ მოწინააღმდეგეს უპირატესობა აქვს ჩოქბჯენში, აუცილებლად უნდა მოიგო პირველი ექვსი წუთი იმისათვის, რომ საშუალება გქონდეს შებმა განაგრძო შენი სურვილისამებრ და ა. შ.

ნათელია, რომ შებმის საერთო გეგმა შეიძლება წარმოადგენდეს ერთი მიზნისადმი დამორჩილებულ რამდენიმე ურთიერთდაკავშირებულ და ურთიერთშეპირობებულ ამოცანას.

მაგრამ, წინასწარი გეგმა ჰქმნის მხოლოდ რეალურ წინაპირობას შებმის მოსაგებად, ვინაიდან თვითონ მოგების მიღწევა შეიძლება მხოლოდ უშუალოდ ჭიდაობისას. ბუნებრივია, რომ წინასწარი გეგმა, წააწყდება რა მოწინააღმდეგის ასეთსავე გეგმას, მოითხოვს მნიშვნელოვან დაზუსტებას, შესწორებას და შეცვლასაც კი. ამისათვის საჭიროა უნარი გქონდეს უშუალოდ შებმის დროს მიიღო გადაწყვეტილება ჭიდაობის თვითეულ კონკრეტულ მომენტში წარმატების ან გამარჯვების გზებისა და ხერხების საკითხზე. იმის მიხედვით, თუ რა მდგომარეობა გიკავია შენ ან უკავია შენს გუნდს სატურნირო ცხრილში, როგორია მოცემულ შეხვედრაში ქულათა თანაფარდობა, მოწინააღმდეგის მდგომარეობა, დინამიკური სიტუაცია, შენი ფიზიკური, ტექნიკური და სხვა შესაძლებლობანი. მიღებული გადაწყვეტილება სწრაფად და შეუპოვრად უნდა შესრულდეს.

აგებ რა ტაქტიკურ გეგმას და ახორციელებ მას შებმაში, აუცილებელია მტკიცედ იცოდე შეჯიბრების დებულება და წესების პარაგრაფები, რომლებიც ეხება მოქმედების ხერხების შეზღუდვას და ამა თუ იმ ფანდისათვის შეფასებას.

ამ მდგომარეობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საზღვარგარეთ შეჯიბრებებში მონაწილეობისას, სადაც შეჯიბრების წესებსა და მსაჯობაში არის ზოგიერთი სხვაობა.

ცნობილია, რომ ჩიხლაძემ XV ოლიმპიურ თამაშებში შვედ გრენდალთან გადამწყვეტი შებმა წააგო იმიტომ, რომ სხვაგვარად ესმოდა ეგრედწოდებული „ირიბული მოვლებით გადაბრუნების“ გამოყენების შესაძლებლობა.

კაპიტალისტური ქვეყნების მოჭიდავეებთან შეხვედრებისას, როცა მსაჯებად არიან მათი წარმომადგენლები, ტაქტიკური გეგმის შემუშავებისას საჭიროა გათვალისწინებულ იქნას აგრეთვე არაობიექტური მსაჯობა. ცნობილია, რომ XV ოლიმპიურ თამაშებში საიადოვისა და ციმაკურიძის წაგებები იყო არასაკმარისად დამარწმუნებელი მოგებები. აქ უნდა ისწრაფვოდე მხოლოდ სავსებით დამარწმუნებელი მოგებისაკენ.

ტაქტიკური გეგმის შედგენისას აუცილებელია აგრეთვე გაითვალისწინო ყველა შესაძლებელი მოწინააღმდეგე და უნარი გქონდეს ძალები გაანაწილო ისე, რომ გეყოს შეჯიბრების მთელ მანძილზე.

მოჭიდავის შედარებით უფრო სუსტი მომზადება ტექნიკაში, ძალიან ცოტა შესაძლებლობას გვაძლევს სხვადასხვა ტაქტიკური ვარიანტებისათვის, მოჭიდავის ტაქტიკას სტანდარტულს ხდის. მაგალითად, წინასწარ ცნობილი ტაქტიკა ისეთი გამოჩენილი მოჭიდავეებისაც კი, როგორიცაა მსოფლიო ჩემპიონი გ. შატვორიანი, სსრ კავშირის არაერთგზის ჩემპიონი ვ. მაჩკალიანი, ე. პუსეპი და სხვები. მართალია, ეს მათ ხელს არ უშლიდა გამარჯვების მოპოვებაში, მაგრამ საჭიროა შევნიშნოთ, რომ გონივრული მიდგომით შეიძლება წინასწარ შეეწყო ასეთი მოჭიდავეების ტაქტიკას. ამ მხრივ დამახასიათებელია რომ ვ. მაჩკალიანის ძირითადი ფანდის ირიბული მოვლების გამოყენებაში შეზღუდვების შეტანის შემდეგ, მძიმე წონის მოჭიდავეთათვის ეს საშიში მეტოქე სსრ კავშირის ქვემძიმე წონების პირველ ხუთეულშიც კი ვერ მოხვდა.

ტექნიკაში უპირატესობა მრავალფეროვნებს ტაქტიკას, ხდის მას უფრო მოქნილს, ქმნის მრავალრიცხოვან ტაქტიკურ ვარიანტებს გამარჯვების მისაღწევად.

იმასთან დაკავშირებით, რომ შებმის ტაქტიკური გეგმის აგება ითვალისწინებს მოჭიდავის მომზადების ყველა ცნობილ მხარეს, ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება სხვადასხვა მოულოდნელობას. უფრო ხშირად ეს არის რაიმე ტექნიკური სიახლე, რომლის საწინააღმდეგო ილეთები ჯერ კიდევ არაა შემუშავებული.

სიახლეთა განსაკუთრებით დიდი რაოდენობაა შემოღებული საბჭოთა მოჭიდავეების მიერ. მათ შორის საჭიროა დასახელებულ იქნან ვ. სოკოლოვი, გ. პილნოვი, ა. იალტირიანი, ქ. კობერიძე, ი. პუნკინი, ლ. ეგოროვი, ე. ტარასოვი და სხვ.

მოულოდნელობათა გამოყენებას ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ერთ შეხვედრაში, არამედ საერთოდ შეჯიბრებაში გამარჯვების მოპოვებისათვის.

მაგრამ, პრაქტიკაში ადგილი აქვს შემთხვევებსაც, როცა ისეთ მოწინააღმდეგესთან გიხდება შეხვედრა, რომელზეც არაფერი იცი. ასეთ შემთხვევაში საჭიროა ისეთი ტაქტიკის გამოყენება, რომელიც დაფუძნებულია შენს შედარებით ძლიერ მხარეებზე, როგორიც ჩვეულებრივად არის მოჭიდავის საერთო ჩვეული ტაქტიკა. ერთდროულად საჭიროა ვაწარმოოთ დაზვერვა უშუალოდ შებმის დროს.

ამ მოკლე წერილში ჩვენ ვცადეთ მოგვეხაზა ძირითადი დებულებები, რომლებსაც ითვალისწინებს ჭიდაობის ჩვენი მოწინავე საბჭოთა სკოლის პრაქტიკა ტაქტიკის აგებისას.

ი. ალიხანოვი,
პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

11 აპრილს სპორტულ მოედნებსა და დარბაზებში თბილისის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების ფიზკულტურისა და სპორტის სამმართველომ მოაწყო პირადგუნდური შეჯიბრება ფარიკაობაში, კალათბურთში, ფრენბურთში, კლასიკურ ჭიდაობაში, ველოსპორტსა და მძლეოსნობაში.

ინტერესს იწვევდა შეჯიბრება ამანათრბენში — „თბილისის რკალი“. მონაწილე გუნდები დაყოფილი იყვნენ ხუთ ჯგუფად.

ვაჟთა ამანათრბენი 15 ეტაპისაგან შედგებოდა. შეჯიბრებაში გაიმარჯვეს ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტსმენებმა (18:20,4).

ქალთა 11-ეტაპიან ამანათრბენში უძლიერესი აღმოჩნდა სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი (6:20,4).

• • •

სურათებზე ზევით — ი. ლოლაძე (ფიზკულტურის ინსტიტუტი) და სპორტის დამსახურებული ოსტატი ნ. დვალიშვილი (უნივერსიტეტი) ამანათრბენის ფინიშთან.

ვარჯიში № 1

საწყისი მდგომარეობა — ძირითადი დგომი.

1. გამორბენით და ცალფეხზე წახტომით (ტემპში) მართყირამალა ხრულბრუნით, ადგილზე ახტომი, ზემკლავი და .... 2.0.

2. ახტომით ზურგისაკენ ბრუნი, გარეწრეები და

3. წახტომით წინკოტრიალი, ბუქნი, წინმკლავი და .... 0.5.

4. თავისა და ხელების დაბჯენით წინ ყირამალა ოდნავ მოღუნულ ფეხებზე (ფეხები ტყუპად) ზემკლავი... 2.5.

5. ბუქნბჯენი ტყუპფეხარეკლით ხელყირა და ფეხების მოხრითა და სწრაფი გაშლით ხელებიდან ტემპში ფეხებზე დახტომი და .... 2.0.

6. ახტომით ზურგისაკენ ბრუნი ცალ ფეხზე დგომი, მეორე წინ ზემკლავი, წინ 2-3 ბიჯით წახტომი (ტემპში) და წინ მართყირამალა ოდნავ მოღუნულ ფეხებზე დგომში (ფეხები ტყუპად) ზემკლავი... 3.0.

7. წინრკალებით მიმკლავი — ძირითადი დგომი.

ა კ რ ო ბ ა ტ ი კ ა

ჭაბუკთა მეორე თანრიგი



ნახ. ო. როგოვსკოისა

ვარჯიში № 2

საწყისი მდგომარეობა — ძირითადი დგომი.

1. უკუხტომით და უკუმკლავით უკუმართყირამალა ტყუპად დგომი, ზემკლავი და... 4.0.

2. წინ რკალებით მიმკლავი, გამართული ფეხებით დაჯდომა და უკუკოტრიალი ხელყირის გადაცილებით მარჯვენა ფეხზე დგომი, მარცხენა უკან, ზემკლავი და... 2.0.

3. მარჯვნივ ბრუნი მარჯვენა ფეხზე, მარცხენა განზე (ქვევით) განმკლავი და მარცხნივ მართყირამალა მარჯვენა ფეხზე დგომი, მარცხენა განზე, ზემკლავი და მარცხნივ ბრუნი მარჯვენა ფეხზე, მარცხენა წინ (ქვევით) 1.0.

4. რამდენიმე ბიჯით ტემპში წახტომი მარჯვენაზე და წინ მართყირამალა მარჯვენა ფეხზე დგომი, მარცხენა წინ (ქვევით) ზემკლავი და .... 3.0.

5. მარცხენით წინ ბიჯი და მარჯვენის მიდგომით წინრკალებით მიმკლავი — ძირითადი დგომი.

სსრ კავშირის პირველობა

გათამაშების ცხრილი

„ა" კლასი

მდგომარეობა 14 აპრილისათვის

გუნდები	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო" თბ.	2	2	0	0	6:3	4
„დინამო" მ.	3	1	2	0	2:1	4
„ტორპედო" მ.	2	1	1	0	6:3	3
„დინამო" კ.	2	1	1	0	2:1	3
„კრ. სოვეტოვი" კბ.	1	1	0	0	3:0	2
„სპარტაკი" მ.	2	1	0	1	5:3	2
„სპარტაკი" მნ.	1	0	1	0	0:0	1
„შრ. რეზერვები" ლ.	2	0	1	1	2:3	1
ცდსა	2	0	1	1	1:2	1
„ლოკომოტივი" მ.	2	0	1	1	2:4	1
„ტორპედო" გ.	2	0	1	1	2:5	1
„ლოკომოტივი" ხ.	2	0	1	1	1:4	1
„ზენიტი" ლ.	1	0	0	1	0:3	0

„ა" კლასის ოსტატთა შეხვედრები

„დინამო" (კიევი) — ცდსა

11 აპრილს კიევის რესპუბლიკურ სტადიონზე სსრ კავშირის პირველობაზე ერთმანეთს შეხვდნენ კიევის „დინამო" და საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლის ფეხბურთელთა გუნდი.

კიეველებმა მოწინააღმდეგე დაამარცხეს ანგარიშით 1:0.

• • •

„კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი) — „ზენიტი" (ლენინგრადი)

ამავე დღეს კუიბიშევის სტადიონზე თავისი პირველი მატჩი ჩაატარეს ადგილობრივმა „კრილია სოვეტოვმა" და ლენინგრადის „ზენიტმა".

კუიბიშეველებმა კარგად ითამაშეს და გაიმარჯვეს — 3:0.

• • •

„დინამო" (მოსკოვი) — „შრ. რეზერვები" (ლენინგრადი)

გუშინ ხარკოვის სტადიონზე თამაშობდნენ „დინამო" (მოსკოვი) და „შრომითი რეზერვები" (ლენინგრადი).

მატჩის ანგარიშია 1:0 დინამოელთა სასარგებლოდ.

საქართველოს პირველობა

11 აპრილს დაიწყო საქართველოს სსრ პირველობის გათამაშება ფეხბურთში პირველი ჯგუფის გუნდებს შორის.

გასული წლის რესპუბლიკის ჩემპიონმა თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს გუნდმა მიიღო ბორჯომის „სპარტაკი". ტრამვაელებმა ორი ბურთი გაიტანეს მოწინააღმდეგის კარში, თავისაში კი არც ერთი არ მიუღიათ.

ფოთში გაიმართა შეხვედრა ადგილობრივ ნაკრებსა და თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის გუნდებს შორის. მატჩის ანგარიშია 2:0 თბილისელთა სასარგებლოდ.

ქუთაისში შეხვედრა ჩაატარა მახარაძის „კოლმეურნემ". მთელი თამაშის განმავლობაში ცხადი იყო ქუთაისელ დინამოელთა უპირატესობა. მათ მოწინააღმდეგე დაამარცხეს დიდი ანგარიშით — 7:2.

სოხუმის „დინამომ" თავის მოედანზე მიიღო რუსთავის „მეტალურგი". სოხუმელებმა პირველი ტაიმი დაამთავრეს ანგარიშით 3:0 თავიანთ სასარგებლოდ. მეორე ნახევარში „მეტალურგმა" შეძლო ორი ბურთის გატანა და თამაში დამთავრდა სოხუმის „დინამოს" გამარჯვებით — 3:2.

ხაშურში თამაშობდნენ ადგილობრივი „ლოკომოტივი" და „მედიკი" (თბილისი). შეხვედრის შედეგია — 0:0.

ზუგდიდის „კრასნაია ზვეზდამ" თავისი პირველი კალენდარული მატჩი ჩაატარა ბათუმში ადგილობრივ „დინამოსთან". თამაში მიმდინარეობდა ბათუმელთა უპირატესობით და შეხვედრა მოიგეს ანგარიშით 4:0.

გორში შედგა მატჩი გორის „დინამოსა" და წითელწყაროს „ნეფტიანიკს" შორის. დაძაბული ბრძოლის შემდეგ ანგარიშით 1:0 გაიმარჯვეს გორელებმა.

ჭიდაობა სამბოში საბჭოთა კავშირის 1954 წლის პირველობაზე გამარჯვებული გუნდი.
სურათზე: მარცხნიდან: ლ. კაციაშვილი, გ. სიმონიშვილი, ტ. ელერდაშვილი, ნ. ნინიაშვილი, ზ. დენტოშვილი, ხ. ბახტაძე, ბ. მაზიაშვილი, ა. ქველაძე, შ. დაუშვილი ე. ქარქუსაშვილი, ო. შინჯიკაშვილი, გ. ლაფაური.

„მსოფლიო რეკორდების წვიმა"

◆

უცხოეთის პრესის მიმოხილვა

◆

ა. წ. 25-29 აგვისტოს შვეიცარიაში, ქალაქ ბერნში ჩატარდება ევროპის პირველობა მძლეოსნობაში. ჯერ კიდევ გასული წლის ნოემბრის შუარიცხვებში ბრიუსელში მოეწყო მძლეოსანთა საერთაშორისო ფედერაციის (იააფ) ევროპის კომიტეტის სხდომა, რომელზეც საბოლოოდ დამტკიცდა მძლეოსნობაში ევროპის პირველობის პროგრამა, გამოყოფილ იქნა ჩემპიონატის ჟიური, დამტკიცდა ევროპის ახალი რეკორდები.

გარდა ამისა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება ეთხოვოს იააფ-ს ოლიმპიურ თამაშებზე შენარჩუნებულ იქნას ქალთა შეჯიბრება ბადრის ტყორცნასა და ბირთვის კვრაში და ოლიმპიურ პროგრამას დაემატოს ქალთა რბენა 800 მეტრზე.

წინამდებარე სეზონი ევროპის მძლეოსანთათვის მეტად მდიდარი იქნება საერთაშორისო შეხვედრებით. უკვე იანვარ-მარტში მძლეოსნებმა სტარტი აიღეს ფრანკფურტის, დორტმუნდის, პარიზის დახურულ სტადიონებზე. ზაფხულის განმავლობაში ბუდაპეშტის, პრაღის, ვარშავის, ბუქარესტის, ლონდონის, გლაზგოს, ბრიუსელის, ვენის, მადრიდის, სტოკჰოლმის სტადიონებზე მოეწყობა 150-მდე საერთაშორისო შეჯიბრება.

საზღვარგარეთული სპორტული პრესა დიდ ადგილს უთმობს მომავალი შეჯიბრებების გაშუქებას, მაგრამ ჯერ ხომ ადრეა. ამ ადრიან გაზაფხულზე, როცა ჯერ არ გამართულა ოფიციალური შეჯიბრებები და ცნობილი არაა უძლიერესთა წინასწარი შედეგები და სპორტული ფორმა, კულისებიდან ცნობების გამოტანა ფრიად ძნელია თვით ყოვლისშემძლე კორესპონდენტებისთვისაც კი. იქ ყველაფერი მიუკარებელი საიდუმლოებითაა მოცული, არც ერთი გამოჩენილი მძლეოსანი და მწვრთნელი ასე იოლად არ გამოამზეურებს იმას, რაც მათ „სამზარეულოში" მზადდება.

ამიტომ გაზეთები ძირითადად გასული წლის შედეგების მიხედვით მსჯელობენ და ოქროს მედლების კანდიდატებს მათი ანალიზის შესაბამისად ასახელებენ.

1953 წლის მძლეოსნურ სეზონს უცხოეთის სპორტული წრეები ერთხმად უწოდებენ „ერთ-ერთ განსაცვიფრებელ სეზონს" ჩრდილოეთ ნახევარსფეროს მძლეოსნობის ისტორიაში. საქმე იმაშია, რომ ოლიმპიური თამაშების შემდეგ მძლეოსნურ ბილიკებზე, ჩვეულებრივ, დგება „დაზავების" პერიოდი და აღინიშნება დროებითი შესვენება მძლეოსნურ მიღწევათა მსვლელობაში. ეს ძირითადად იმით აიხსნება რომ ბევრი სპორტსმენი დიდი ინტენსიურობით და ძალების მაქსიმალური დაძაბვით ემზადება ოლიმპიური თამაშებისათვის და შემდეგ თავის თავს უფლებას აძლევს „ცოტა" შეისვენოს. ხანდაზმული სპორტსმენებისათვის ისეთი დიდი ასპარეზობა, როგორიც ოლიმპიური თამაშებია, გედის სიმღერას წარმოადგენს და აქ მიღწეული მაღალი შედეგის შემდეგ მისთვის შემდგომ გამოსვლებს აზრი აღარა აქვს.

მაგრამ 1953 წლის „განსაცვიფრებელ" სეზონში ეს ტრადიცია დარღვეულ იქნა. რეკორდების ასეთი შტურმი ჯერ არასოდეს არ ყოფილა. ამის მიზეზად ასახელებენ იმ დიდ მიღწევებს, რომლებიც მოიპოვეს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა, კერძოდ, სახალხო დემოკრატიისა და საბჭოთა კავშირის მძლეოსნებმა. ფრანგული სპორტული გაზეთი „ეკიპ" წერდა, რომ „ჯერ არც ერთ სპრინტერს არ აუღია ისეთი ტემპი, როგორითაც საბჭოთა კავშირის სპორტსმენები მიისწრაფიან წინ". მიმოიხილავს რა ბოლო წლების შედეგებს გაზეთი ასკვნის: ის ფაქტი, რომ დიდი სპორტული ტრადიციების მქონე ქვეყნები — აშშ, დიდი ბრიტანეთი, შვეცია, ფინეთი, საფრანგეთი და სხვ. გაიყინენ თავისი განვითარების მიღწეულ დონეზე, ხოლო სსრ კავშირი და სახალხო დემოკრატიის ქვეყნები არნახული პროპორციით ზრდიან თავიანთ წარმატებებს — მრავლისმეტყველია. მაგალითად, ის წინსვლა, რომელიც შემჩნეულია გერმანიაში, არსებითად აღმოსავლეთ გერმანიის ხარჯზე ხდება. აღმოსავლეთ გერმანია კი უწინ არასოდეს არ იყო გერმანული მძლეოსნობის ავანგარდი.

რა თქმა უნდა! ზატოპეკის, შჩერბაკოვის, ჩუდინას, ლიტუევის, ზიბინას, დუმბაძის, დვალიშვილის, იანიჩენკოს, ოტკალენკოს, იულინის, კუცის, იუნგვირტის, ანუფრიევის, კონიაევას, სკობლას, სიდლოს, ჩერმაკის და სხვათა სახელები სულ უფრო და უფრო ხშირად ჩანან გამარჯვებულთა შორის. მსოფლიო რეკორდების სასწორი შეუჩერებლად იხრება მათკენ.

1953 წელს განახლებულ იქნა მძლეოსნობაში მსოფლიო რეკორდების ისეთი დიდი რაოდენობა, რომ ამ სეზონს სამართლიანად უწოდეს „მსოფლიო რეკორდების წვიმა". 28 სახეობაში წაშლილ იქნა ძველი შედეგი და ჩაიწერა ახალი. ეს მართლაც უჩვეულო და ერთობ უხვია. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ზოგი რეკორდი, რომელიც ცხრილში უშფოთველად ზის, დამყარებულია „უხსოვარ დროს" — 1935-39 წლებში.

დიდი შეხლა-შემოხლა გამოიწვია ამერიკელი შუბისმტყორცნელის ფ. ჰელდის შედეგმა — 80 მ 41 სმ. ამ შედეგის მსოფლიო რეკორდად დამტკიცების წინააღმდეგ საკმაოდ მრავალრიცხოვანი ნაწილი იბრძოდა. იბრძოდა და გაიტანა კიდეც თავისი. მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ სამართლიანად არ დაამტკიცა ეს რეკორდი, ვინაიდან ჰელდმა ტყორცნა საკუთარი კონსტრუქციის შუბი, რომელიც არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტს ამჟამად ფედერაციას განსახილველად აქვს პოლონელი მძლეოსნის ი. სიდლოს რეკორდი — 80 მ 15 სმ.

მსოფლიო რეკორდებად დამტკიცებულ იქნა საბჭოთა მძლეოსნების შემდეგი შედეგები: ი. ლიტუევი — თარჯრბენი 400 მ — 50,4; ლ. შჩერბაკოვი — სამხტომი — 16 მ,23 სმ; ნ. ოტკალენკო — რბენა 800 მეტრზე — 2:07,3; ქალთა ამანათრბენები 4×100 — 45,6; 4×200 — 1:36,4; და 3×800 — 6:33,2; გ. ზიბინა — ბირთვის კვრა — 16 მ, 20 სმ; ნ. დუმბაძე — ბადრის ტყორცნა 57 მ, 04 სმ.

გათამაშების ფინალში

უკვე ერთ თვეზე მეტია, რაც მიმდინარეობს თბილისში ფეხბურთის სეზონის გახსნის ჯილდოს გათამაშება. მასში განსაკუთრებით წარმატება ხვდა თბილისის ვაჟთა 35-ე საშუალო სკოლის ფეხბურთელთა I ნაკრებ გუნდს. პირველი კალენდარული თამაში სკოლის გუნდმა ჩაატარა თბილისის „ზვეზდას" I გუნდთან და დიდი ანგარიშით (7:3) გაიმარჯვა. შემდეგ გუნდი შეხვდა საქართველოს მრავალგზის ჩემპიონს თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს I გუნდს. ამ მატჩის შედეგი თბილისის ფეხბურთის სექციის მიერ გაუქმებულ იქნა, რადგან მსაჯმა შმოვანოვმა თამაში სუსტად ჩაატარა. განმეორებით თამაშში გაიმარჯვეს (1:0) მოსწავლეებმა.

ნახევარფინალურ შეხვედრაში სკოლის გუნდმა ითამაშა მაუდ-კამვოლის ფაბრიკის გუნდთან. მოსწავლეებმა ეს მატჩიც მოიგეს.

დღეს შედგება ფინალი. ვაჟთა 35-ე სკოლის გუნდი შეხვდება თბილისის ოფიცერთა სახლის I კოლექტივს.

საუნივერსიტეტო სპარტაკიადა გაიხსნა

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტულ ცხოვრებაში ტრადიციად იქცა საუნივერსიტეტო სპარტაკიადა.

11 აპრილს, დღის 2 საათზე, უნივერსიტეტის რექტორის პროფესორ ე. ბურჭულაძის მისასალმებელი სიტყვის შემდეგ გასული წლის ჩემპიონებმა — ფიზიკის ფაკულტეტის სპორტსმენებმა აღმართეს სპარტაკიადის ალამი.

პირველ დღეს მოეწყო შეხვედრები მძლეოსნობაში, ფრენბურთში, კალათბურთში, ჭადრაკში.

სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში სპორტის შვიდი სახეობაა, ოც დღეს გასტანს.

მ. ბოტვინიკ - ვ. სმისლოვის მატჩი

მეთორმეტე პარტიაში ყველას აინტერესებდა შეძლებდა თუ არა ბოტვინიკი ანგარიშის გათანაბრებას ან სმისლოვი უპირატესობის განმტკიცებას.

მეტოქეებმა გაითამაშეს ჩეხური დაცვა. სმისლოვი ამ დებიუტის კარგ მცოდნედ ითვლება. გროსმაისტერის სადებიუტო რეპერტუარში მას ფართო ადგილი უკავია. პირველი სვლები სწრაფად გათამაშდა. მეცხრე სვლიდან ბოტვინიკმა ცენტრში პაიკების წინსვლა წამოიწყო. ამაზე სმისლოვმა კონტრთამაშით უპასუხა. გაჩაღდა პოზიციური ბრძოლა. ორივე პარტნიორი აუმჯობესებდა თავისი ფიგურების განლაგებას. 22-ე სვლისათვის დაფაზე შეიქმნა ასეთი მდგომარეობა:

ვ. სმისლოვი



მ. ბოტვინიკი

22.e5! (ბოტვინიკი იწყებს შეტევ[illegible] მd5 (უკეთესი გაგრძელება. თუ მh7 ან მd7, მაშინ 23. f4 ძლიერი იერიშით) 23. მ : d5! cd 24. ლd2 მe6 25. f4! (თეთრების იერიში თავისთავად ვითარდება. მხედრის გაცვლით ბოტვინიკმა მიიღო პაიკებით იერიშის საშუალება) gf 26. gf ლc6 (ქიშის მუქარები თეთრებისათვის როდია საშიში) 27. f5 მc5 (არ ვარგოდა 27. ... d4+ 28. მფg1 მc5 29. ლg5, f5—f6 მუქარის გამო) 28 ლg5 ეd7 29. ეg1 f6 (სხვა დაცვაც არ ვარგოდა d4+ზე 30. ეg2 იგივე მუქარით. თუ 29. ... g6, მაშინ 30. e6!) 30. ef მe4 31. f7+! (თეთრები ფორსირებულად იგებენ ფიგურას) ე:f7 (31. ... მფ:f7? 32 ლ:g7 + მფe8 33. ლe8+ მფe7 34. ეg7+ და ლაზიერის მოგებით) 32. ლd8+ მფh7 33. კ : d5 მf2+ 34. მფg2 ლf6 (ყველა სხვა სვლაც აგებს) 35. ლ : f6 ე : f6 36. მფ : f2 ე : f5+ 37. კf3 [illegible] 38. ეg4 და სმისლოვი დანებდა.

მოჭადრაკე ქალთა ნახევარფინალი

მეექვსე ტურში სემიონოვამ ძლიერად ითამაშა გრიგორიევასთან და დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა. კოგანმა მოუგო კარცევას. ხაჭაპურიძემ ლომოვატსკაიასთან დებიუტში ხარისხი დაკარგა, მაგრამ შემდგომ გამსვლელი პაიკის შექმნით ხაჭაპურიძემ აიძულა პარტნიორი დანებებულიყო. შეკალინამ დაამარცხა ელანსკაია, ხოლო ფილანოვსკაიამ — ნაგელი.

გადადებულ პარტიებში კაკაბაძეს მოსაგები პოზიცია აქვს ალფეევსკაიასთან.

მეშვიდე ტურში ხაჭაპურიძემ შავებით ელანსკაიასთან მოიპოვა გამარჯვება. კაკაბაძემ ნაგელის დამარცხებით სატურნირო ცხრილში პირველი ერთიანი ჩაიწერა. გურფინკელმა მოუგო სემიონოვას, ხოლო ლომოვატსკაიამ — გოლდბერგს. სხვა პარტიები გადაიდო.

მერვე ტურში დამთავრდა მხოლოდ სამი პარტია. კოგანმა მოუგო ნაგელს, გოლდბერგმა — ელანსკაიას და ფილანოვსკაიამ — გრიგორიევას. ოთხი პარტია გადაიდო.

რვა ტურის შემდეგ ხაჭაპურიძეს 5½ და ერთი გადადებული პარტია აქვს.

რედაქტორი ი. უგულავა

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორისა — 3-89-62, პ/მგ მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგესა და გამომშვების — 3-88-25.

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14

უე 00269